გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შვედეთი Sverige

UNDP

პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

ცირკულარობის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი საქართველოსთვის

ხედვა, მიზნები და სამიზნე მაჩვენებლები

დ-რი მედგარ ჭელიძე

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

2023 წელი, 13 დეკემბერი

I ნაწილის შინაარსი

- საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასების ძირითადი შედეგები
- ხედვა და სტრატეგიული მიზნები ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისათვის
- გზამკვლევი: გზა ცირკულარობის დონის შეფასებიდან ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიამდე
- ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასების ძირითადი შედეგები

საქართველო ცირკულარობის მაჩვენებელი 1.3%-ია, ანუ ცირკულარობაში გარღვევა 98.7%-ს აღემატება.

- ერთწლოვანი კულტურების მოყვანა (სოფლის მეურნეობა)
- მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა და კვების პროდუქტების წარმოება (სოფლის მეურნეობა)
- ყურძნისა და ღვინის წარმოება
- მეცხოველეობა და კვების პროდუქტების წარმოება
- ხე-ტყის დამზადება და ხის ნაწარმის წარმოება
- მეთევზეობა და თევზის გადამუშავება
- სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება (ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების გარდა)
- მშენებლობა
- ძირითადი ლითონების წარმოება

- სხვა ნაწარმის წარმოება
- ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა და განაწილება/ აირის წარმოება; აირისებრი სათბობის განაწილება მაგისტრალური ხაზებით)
- კანალიზაცია; ნარჩენების შეგროვების, დამუშავების და მოცილების საქმიანობა; ნარჩენების უტილიზაცია, დაბინძურებისაგან გასუფთავება და ნარჩენების მართვის სხვა მომსახურება
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა
- ტრანსპორტი და დასაწყობება
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა; საკვებით მომსახურება

ეკონომიკის დარგების პრიორიტეტებად დალაგება

- შევეცადეთ, მივყოლოდით თავდაპირველ ამოცანას, რომელიც წინასწარ შერჩეული 14 დარგიდან პრიორიტეტული დარგების ამორჩევას ითვალისწინებდა. თუმცა, მივედით შემდეგ ძირითად დასკვნამდე:

  - წინასწარ შერჩეულ ყველა დარგს ეკონომიკის ცირკულარულ მოდელზე გადასვლის ხელშესახები პოტენციალი გააჩნია და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს რომელიმე მათგანის უგულვებელყოფა შეუძლებელია.

- სინამდვილეში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დარეგისტრირებული 90 დარგიდან 14-ის შერჩევით ჩვენ პრიორიტეტები უკვე განვსაზღვრეთ. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას რომ:

  - სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი დარგია და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის პრიორიტეტულად შეიძლება იქნას მიჩნეული, რადგანაც წინასწარ შერჩეული 14 დარგიდან 6 სოფლის მეურნეობის ქვედარგია, რომელთა ცირკულარობის პოტენციალი საშუალოდან ძალიან მაღალ დონემდე მერყეობს.

ხედვა, სტრატეგიული მიზნები და სამიზნე მაჩვენებლები ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისათვის

<u>სტრატეგიული მიზნები:</u>

- სტრატეგიული მიზანია ცირკულარული ეკონომიკის სფეროში რეგიონის ლიდერად ქცევა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება
- რეგულაციების სრულყოფა, ცნობიერების ამაღლება და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთქმედებისათვის განკუთვნილი პლატფორმების შექმნა ხელსაყრელი გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

<u>სამიზნეები:</u>

- მომდევნო 5/10 წლიანი პერიოდის სამიზნეა ცირკულარობის დონე არსებული 1.3%-დან 6.6%-მდე გაზრდა.
- მომდევნო 5/10 წლიანი პერიოდის მეორე სამიზნეა ეკონომიკის ცირკულარულ მოდელებზე ეფექტიანი გადასვლისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება.

გზამკვლევი: გზა ცირკულარობის დონის შეფასებიდან ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიამდე

- გზამკვლევი ცირკულარობის დონის შეფასებიდან ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავებამდე მიმავალ გზას წარმოადგენს
- გზამკვლევი განსაზღვრავს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებს
- გზამკვლევში წარმოდგენილი იქნება ცირკულარობის სტრატეგიისა და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები
- გზამკვლევში განსაზღვრული იქნება მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამიზნეები და რეკომენდაციები ამ სამიზნეების შესაბამისად დალაგდება

გზამკვლევის შემუშავების მეთოდოლოგია

- სამუშაო გეგმის მომზადება ცირკულარული განვითარების გზამკვლევის შემუშავების პროცესისთვის
- მსგავსი მახასიათებლებისა და ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ქვეყნების ცირკულარობის გზამკვლევების შესწავლა
- გზამკვლევის მონახაზის მომზადება ცირკულარობის დონის შეფასების შედეგების საფუძველზე

II ნაწილის შინაარსი

- **მოკლევადიანი მიზნები**
  - პრიორიტეტული დარგები და კლასტერები
  - ქმედებები
  - საკვანძო ხელშემწყობი მხარეები
- **საშუალო და გრძელვადიანი მიზნები**
  - ქმედებები
  - საკვანძო ხელშემწყობი მხარეები

მოკლევადიანი მიზნები

- **მიზანი 1:** ნარჩენების ცირკულარული მართვის პოლიტიკის, რეგულაციებისა და აღსრულების მექანიზმების დახვეწა
- **მიზანი 2:** განახლებადი ენერგიის წყაროების შემდგომი ათვისება და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება ენერგოდანაკარგების შესამცირებლად
- **მიზანი 3:** ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება მასალების გამოსავლიანობის გასაზრდელად
- **მიზანი 4:** მუნიციპალური რესურსებისა და მომსახურების შემდგომი განვითარება მასალების გამოსავლიანობის გასაზრდელად
- **მიზანი 5:** ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშემწყობი ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება
- **მიზანი 6:** ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტების განხორციელება

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 1

ნარჩენების ცირკულარული მართვის პოლიტიკის, რეგულაციებისა და აღსრულების მექანიზმების დახვეწა

კლასტერები / დარგები: მე-3 კლასტერს მიკუთვნებული პრიორიტეტული დარგები.

ეხება დარგებს:

- დამამუშავებელი მრეწველობა
- საბითუმო ვაჭრობა
- მეცხოველეობა და კვების პროდუქტების წარმოება
- ხე-ტყის დამზადება და ხის ნაწარმის წარმოება
- სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
- ძირითადი ლითონების წარმოება
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვებით მომსახურების საქმიანობა

ამოცანები:

- ნარჩენების ცირკულარული მართვის პოლიტიკის შემუშავება

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 1

ნარჩენების ცირკულარული მართვის პოლიტიკის, რეგულაციებისა და აღსრულების მექანიზმების დახვეწა

<u>ქმედებები:</u>

1. დამატებითი საქონლის მოცვის მიზნით, განევრცოს მგვ სქემები, რომლებიც ამჟამად საქართველოში ინერგება, რათა ამ საქონლის ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავებისათვის სახსრების მოზიდვა მოხდეს.

2. მგვ სქემების გამოყენება ცირკულარობის მაღალი დონის მქონე ინოვაციური ბიზნესმოდელების წასახალისებლად.

3. მგვ-ს მსგავსი რეგულაციების შემუშავება ცხოველური, ხე-ტყის ჭრის, სამთამადნო, სამთო გამდიდრების, საკვების ნარჩენების ნაკადებისთვის, ან ნარჩენების ასეთი ნაკადების მგვ-თი მოცვა.

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- დარგობრივი სამინისტროები
- ზემოქმედებული დარგების წარმომადგენელი ბიზნესები

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 2

განახლებადი ენერგიის წყაროების შემდგომი ათვისება და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება ენერგოდანაკარგების შესამცირებლად

კლასტერები / დარგები: 1-ლ კლასტერს მიკუთვნებული პრიორიტეტული დარგები.

ეხება დარგებს:

- ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა და განაწილება
- ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება და გადაზიდვა

► **ამოცანები:**

- განახლებადი ენერგიის წვლილის გაზრდა საქართველოს ენერგეტიკის სტრუქტურაში
- ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა და დანაკარგების შემცირება
- ელექტროენერგიის საცავი ობიექტების მოწყობა
- აირგამანაწილებელი ქსელის აღდგენა და დანაკარგების შემცირება
- აირსაცავი ობიექტების მოწყობა

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 2

განახლებადი ენერგიის წყაროების შემდგომი ათვისება და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება ენერგოდანაკარგების შესამცირებლად

<u>ქმედებები:</u>

1. ენერგოსაცავი ობიექტების სტრატეგიის შემუშავება
2. ენერგოსაცავი ობიექტების პროექტების შემუშავება
3. ელექტრომომარაგების ქსელისა და სტრატეგიული მაგისტრალური ხაზების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება
4. ბუნებრივი აირის დამარაგების სტრატეგიის შემუშავება
5. აირსაცავი ობიექტების პროექტების შემუშავება
6. გაზმომარაგების ქსელისა და სტრატეგიული მაგისტრალური ხაზების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება
7. განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)
- სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- დარგობრივი სამინისტროები
- ზემოქმედებული დარგების წარმომადგენელი ბიზნესები

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 3

ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება მასალების გამოსავლიანობის გასაზრდელად

კლასტერები / დარგები: 1-ლ კლასტერს მიკუთვნებული პრიორიტეტული დარგები.

ეხება დარგებს:

- ერთწლოვანი კულტურების მოყვანა
- მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა
- ყურძნისა და ღვინის წარმოება

► **ამოცანები:**

  – სარწყავი სისტემის აღდგენა

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 3

ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება მასალების გამოსავლიანობის გასაზრდელად

<u>ქმედებები:</u>

1. საქართველოს ირიგაციის სტრატეგიის განხორციელება

2. საქართველოს სარწყავი სისტემის აღდგენისა და მოდერნიზაციის პროექტების განხორციელება

3. ინსტიტუციური გაძლიერების პროექტების განხორციელება და თანამედროვე მმართველობის სისტემის შემუშავება

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- შპს „საქართველოს მელიორაცია“
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- დარგობრივი სამინისტროები
- ზემოქმედებული დარგების წარმომადგენელი ბიზნესები

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 4

მუნიციპალური რესურსებისა და მომსახურების შემდგომი განვითარება მასალების გამოსავლიანობის გასაზრდელად

კლასტერები / დარგები: მე-2 კლასტერს მიკუთვნებული პრიორიტეტული დარგები.

ეხება დარგებს:

- ერთწლოვანი კულტურების მოყვანა
- მეცხოველეობა და კვების პროდუქტების წარმოება

► **ამოცანები:**

- საძოვრების აღდგენა და გაუმჯობესება;
- ვეტერინარული სამსახურების აღდგენისა და განვითარების მხარდაჭერა:
  - ხელოვნური გამრავლება
  - პირუტყვისა და ფუტკრის დაცვა

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 4

მუნიციპალური რესურსებისა და მომსახურების შემდგომი განვითარება მასალების გამოსავლიანობის გასაზრდელად

<u>ქმედებები:</u>

1. საძოვრების მოსავლიანობის გაზრდის სტრატეგიებისა და მეთოდური სახელმძღვანელოს შემუშავება

2. საძოვრების მოსავლიანობის გაზრდის პროექტების განხორციელება

3. ინსტიტუციური გაძლიერების პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტებში და მუნიციპალური მიწებისა და საძოვრების მართვის თანამედროვე სისტემის შემუშავება

4. ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ინსტიტუციური გაძლიერების პროექტების განხორიცელება მუნიციპალიტეტებისათვის

5. მუნიციპალურ დონეზე ვეტერინარული მომსახურების სისტემების გაუმჯობესების პროექტების განხორციელება

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- სასოფლო დასახლებების მოსახლეობა, აგრობიზნესები და აგროსაკონსულტაციო სამსახურები

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 5

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშემწყობი ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება

კლასტერები / დარგები: ყველა კლასტერი და ეკონომიკის ყველა დარგი, რომელიც წრფივიდან ცირკულარულ მოდელზე გადასვლის თვალსაზრისით პრიორიტეტულია

- **ამოცანები:**
  - ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტის ჩამოყალიბება
    - ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის დასრულება საქართველოსთვის
    - ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება საქართველოსთვის
    - საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება
    - ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უხელმძღვანელებს
    - რეგიონის განვითარების სტრატეგიებსა და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმებში ცირკულარული ეკონომიკის კომპონენტის შეტანა

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 5

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშემწყობი ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება

<u>ქმედებები:</u>

- კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება, რომლებიც შეავსებს საქართველოში, ქვეყნის მასშტაბით მიღებულ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს და რომელთა მეშვეობითაც რეგიონულ, ადგილობრივ, დარგობრივ და კორპორაციულ დონეზე ცირკულარული ეკონომიკის ეფექტიანობის შეფასება, მონიტორინგი და საორიენტაციო მაჩვენებლების დადგენა მოხდება.
- ცირკულარული ეკონომიკის ინდიკატორების გადაქცევა სტატისტიკური ანგარიშგების ძირითად ნაწილად ისე, რომ ახალი ინდიკატორები არსებულ სტატისტიკურ და ანგარიშგების სისტემებს ითვალისწინებდეს და ავსებდეს მათ.
- ინვესტიციებისა და ბიზნესების თანმხლები წრფივი რისკების შესახებ ანგარიშგების ევროკავშირისეული სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების სტანდარტების შემუშავება ქართული კომპანიებისთვის და სტანდარტულ საბუღალტრო აღრიცხვაში მათი გათვალისწინება.

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- დარგობრივი სამინისტროები
- ბიზნესასოციაციები

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 5

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ხელშემწყობი ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება

<u>შემდგომი ქმედებები:</u>

- სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება
- საქართველოში ისეთი ტექნიკური და ფინანსური საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბება, რომლებიც ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელების შემუშავებას დაეხმარება
- ცირკულარული ეკონომიკის სფეროში ბიზნესინკუბატორებისა და საკონსულტაციო მომსახურების განვითარება ბიზნესებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- განათლების და მეცნიერების სამინისტრო
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- უნივერსიტეტები და ექსპერტთა საზოგადოება
- ბიზნესასოციაციები

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 6

ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტების განხორციელება

კლასტერები / დარგები: ყველა კლასტერი და ეკონომიკის ყველა დარგი, რომელიც წრფივიდან ცირკულარულ მოდელზე გადასვლის თვალსაზრისით პრიორიტეტულია

► **ამოცანები:**

- ცირკულარული ეკონომიკის მოდელების ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის დემონსტრირება

მოკლევადიანი მიზნები - მიზანი 6

ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტების განხორციელება

<u>ქმედებები:</u>

- ცირკულარული ეკონომიკის მუნიციპალური საპილოტე პროექტის შემუშავება
- ბიზნესსექტორის მიერ შემოთავაზებული ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტების შერჩევა
- ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტებისათვის ფინანსების მოზიდვის ხელშეწყობა
- ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტების განხორციელების ხელშეწყობა
- ცნობიერების ამაღლების პროგრამებში მაგალითებად ცირკულარული ეკონომიკის საპილოტე პროექტების გამოყენება

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)
- მუნიციპალური ხელისუფლება

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- უნივერსიტეტები და ექსპერტთა საზოგადოება
- ბიზნესასოციაციები
- სოფლის მოსახლეობა

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები

საშუალოვადიანი მიზნები (10 წლიანი):

- **მიზანი 1.** ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება მომავალი 10 წლისათვის
- **მიზანი 2.** სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების განხორციელება
- **მიზანი 3.** ბიზნესკომპანიების წახალისება და ტექნიკური მხარდაჭერა საკუთარი ნარჩენებისა და დარგში მოქმედი მსგავსი კომპანიების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავებაში

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- დარგობრივი სამინისტროები
- უნივერსიტეტები და ექსპერტთა საზოგადოება
- ბიზნესასოციაციები
- რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები: მიზანი 4. თანამშრომლობის ეროვნული და ინტერაქტიული პლატფორმების ჩამოყალიბება

<u>ქმედებები:</u>

- ეროვნული თანამშრომლობითი და ინტერაქტიული პლატფორმების ჩამოყალიბება, რათა ახლო კავშირები დამყარდეს ბიზნესებს შორის, რომლებიც, როგორც წესი, ბაზარზე ერთმანეთთან არ ურთიერთობენ.
- ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა და სხვადასხვა ჯაჭვებს შორის თანამშრომლობის ინოვაციური ფორმების, ასევე ცირკულარული ეკონომიკის პროექტების ხარჯებისა და სარგებელის იმ კომპანიებს შორის განაწილების ინოვაციური გზების განვითარება, რომელთაც თანამშრომლობისათვის სხვაგვარად საბაზრო სტიმული არ გააჩნიათ.
- გარანტორის როლში გამოსვლა, როცა ცალკეული კომპანიებისათვის ცირკულარულ პროექტში ჩართვის რისკი ძალიან მაღალია.

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- ბიზნესასოციაციები
- არსებული საერთაშორისო პლატფორმები

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები: მიზანი 5. საერთაშორისო პლატფორმების შექმნა

ქმედებები:

- ახალი საერთაშორისო პლატფორმების შექმნის მხარდაჭერა და არსებულ საერთაშორისო პლატფორმებში მონაწილეობა, რათა ცირკულარული ეკონომიკის პრინციპები მიწოდების მთელ ჯაჭვში დაინერგოს

საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)

მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:

- ბიზნესასოციაციები
- არსებული საერთაშორისო პლატფორმები

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები

საშუალო და გრძელვადიანი მიზნები: მიზანი 6: სახელმწიფო ფონდების დაარსება

<u>ქმედებები:</u>

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენება „რისკების შემამცირებელი“ ინსტრუმენტის სახით, რათა ცირკულარული საქმიანობის მასშტაბის გასაზრდელად მეტ კერძო კაპიტალს მოეყაროს თავი.
- საქართველოში არსებული ან დაგეგმილი ფინანსური ინსტრუმენტებიდან შერჩეულის ფარგლებში ფინანსების წილის განსაზღვრა, რომელიც ცირკულარულ ეკონომიკაში ჩადებულ ინვესტიციებისა და ცირკულარული ბიზნესების მხარდაჭერას მოემსახურება. ცირკულარული ეკონომიკისთვის განკუთვნილი ფონდები ან ინსტრუმენტები ცირკულარული ბიზნესებისა და პროდუქტების დაფინანსების მასშტაბის გაზრდას შეუწყობს ხელს.

<u>საკვანძო ხელშემწყობი მხარეები:</u>

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ფინანსთა სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სამთავრობო კომიტეტი (ჩამოსაყალიბებელია)

<u>მხარდამჭერი დაინტერესებული მხარეები:</u>

- ბიზნესასოციაციები

მრგვალი მაგიდა

ძირითადი სადისკუსიო საკითხები

1. ბოლო ხანებში მგვ-სთან დაკავშირებით მოვლენები როგორ ვითარდება? განხორციელება ეფექტიანად მიმდინარეობს? მწარმოებელთა და მოვაჭრეთა ორგანიზაციები მოქმედია? მგვ-მ ნარჩენების ახალი ნაკადები თუ მოიცვა?

2. ხე-ტყის ჭრის ნარჩენებისთვის, სამთამადნო ნარჩენებისთვის, სამთამადნო გამდიდრების კუდებისთვის, სამშენებლო ნარჩენებისთვის, საკვების ნარჩენებისთვის მგვ-ს მსგავსი რეგლამენტები თუ არის შემუშავებული?

3. თქვენი აზრით, ცირკულარული ეკონომიკის ხელშესაწყობად რა სახის ფინანსური მექანიზმები იქნება ეფექტიანი:

- საგადასახადო პოლიტიკა?
- სუბსიდიები?
- ფინანსურ რესურსებზე წვდომის პრიორიტეტი და დაკრედიტების უკეთესი პირობები?
- სპეციალური ფონდების ჩამოყალიბება?

4. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ ცირკულარული ეკონომიკის კუთხით რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს?

გმადლობთ!

საკონტაქტო ინფორმაცია:

დ-რი მედგარ ჭელიძე

medgarcorresp@yahoo.com

orchisge@yahoo.com

პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)

„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“